

# EthicFinance Newsletter

ალტერნატიული ინიციატივა საქართველოში

ცნობის ფურცელი წლის მიწურულს

ზამთარი 2012

## გვირფასო მეგობრებო,

2012 წელი იწურება. ყოველი წლის ბოლო გვამლევს შესაძლებლობას, სანამ ვარს ახალი წელი შემოადგებს, კიდევ ერთხელ მივიხედოთ უკან, დაფიქრდეთ იმაზე, რაც გასული თვეების განმავლობაში მოხდა, რა წარმატებები თუ წარუმატებლობები გვდევდა თან, იმისათვის, რომ ახალ გამოწვევებს ახალი ძალებით, გამართულები შევხვდეთ.

ჩვენც გვსურს, თვალი გადავავლოთ გასულ თორმეტ თვეს და თქვენც გაგიზიაროთ.

## პროექტები

ყველა პროექტი, რომელიც **EthicFinance** - მა 2012 წელს განავითარა თუ განახორციელა, რეგიონალურ განვითარებასთან არის დაკავშირებული. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანია ადგილობრივი რესურსების და შესაძლებლობების გამოყენება და ამავდროულად ახალგაზრდობის განვითარებასა და მხარდაჭერაზეც ძლიერი აქცენტის გაკეთება.

## ახალგაზრდული კოოპერატივის დაარსება სოფელ სობისში

ბუნებრივმა, გაუფილტრავმა ვაშლის წვენმა, რომელიც სოფელ სობისში დამზადდა ყველა ადაფრთოვანა.

სოფელ სობისის ახალგაზრდობის და **EthicFinance** -ის ინიციატივით 2012 წლის გაზაფხულზე ქართულ სოფელში კოოპერატივი დაარსდა. კოოპერატივის ძირითად საქმიანობას ადგილობრივი ვაშლისაგან წვენის პროფესიონალური დაწურვა და ჩამოსხმა წარმოადგენს. წვენის დამზადებითა და რეალიზაციით, მონაწილე ახალგაზრდებს ცოდნისა და ამასთანავე გრძელვადიანი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა უნდა მიეცეთ. ასევე, ქართულ ბაზარზე ახალი სახის პროდუქტი უნდა გაჩნდეს.

კოოპერატივის პრეისტორია 2011 წელს **EthicFinance** -ის მიერ სოფელ სობისში განხორციელებული სოციალ-ეკოლოგიური და სამეწარმეო ახალგაზრდული პროექტით დაიწყო. რომლის მიზანიც იყო, მიეცა ახალგაზრდობისთვის შესაძლებლობა



ახალგაზრდები ვაშლის გადარჩევას

ეფიქრათ და ემოქმედათ მეწარმის პოზიციიდან, დაენახათ რეალური, მცირე სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებელი ცხოვრობის შანსი.

შემენილი ცოდნისა და გამოცდილების შემდგომი განვითარებისა და სხვათათვის გადაცემის მიზნით, ახალი პროექტის კონცეფცია შემუშავდა. მის თანახმად კოოპერატივის დაარსებას, რომელშიც მთავარი მოქმედი პირები სობისელი ახალგაზრდები

იქნებოდნენ და სადაც ვაშლის წვენი პროფესიუნალურად ჩამოსხმა მოხდებოდა,

სოფლის გამოცოცხლებაშიც უნდა შეეტანა წვლილი და მდგრადი განვითარების პერსპექტივა შეექმნა. ამასთანავე, განსაკუთრებული აქცენტი ახალგაზრდების შემდგომ განვითარებაზე უნდა გაკეთებულიყო.

ვაშლის მოსავლის აღებამდე ახალგაზრდებს ბუღალტერიის, ინფორმატიკის და გერმანული ენის გაკვეთილები ჩაუტარდათ. წვენის დაწურვის ეტაპზე ქალაქ ბონის „სენიორ ექსპერტების მომსახურების“ ორგანიზაციიდან მნიშვნელოვანი დახმარება მივიღეთ. ბატონმა ჰანდშუმ, რომელიც ღვინის სპეციალისტია და ღვინისა და წვენის წარმოებაში დიდ გამოცდილებას ფლობს, ახალგაზრდებს ვაშლის წვენის დაწურვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გაუზიარა. ის, პროექტის ხელმძღვანელ, ბატონ უდო ჰენკელ-იამვილთან ერთად საქმის პროფესიონალურად შესრულებაზე, ჰიგიენის ნორმების დაცვასა და წვენის ხარისხზე ზრუნავდა.

ლაბორატორიაში შემოწმებული და სერთიფიცირებული ვაშლის წვენი უკვე იყიდება თბილისის სხვადასხვა მაღაზიებში.



მადლა: ახალგაზრდების ხელნაკეთი ნივთები

მარჯვენა: ასე გამოიყურება საბოლოო პროდუქტი



## სოციალ-პედაგოგიური, ახალგაზრდული პროექტი სოფელ არგოხში

სოციალ-პედაგოგიური, ახალგაზრდული პროექტის იდეა და მიზანი სოფელ სოხისში განხორციელებული პროექტის მზგავსია.

პროექტის ფარგლებში, სოფელ არგოხში სასარგებლო მცენარეების მოშენება და პროდუქტის სახის მისაცემად საბოლოო გადამუშავება სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის უშუალო მონაწილეობით უნდა მოხდეს. პროექტის მიმდინარეობის შესახებ მომავალ წელს უფრო მეტ ინფორმაციას მოგაწვდით. თავდაპირველად პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. მცენარეების გამოსაშრობად, გაკვეთილებისა და სემინარების ჩასატარებლად და ასევე უცხოელი სენიორ ექსპერტების საცხოვრებლად სახლი შევიძინეთ. გარდა ამისა, უცხოეთიდან ექსპერტების მხარდაჭერა გამოვიტოხოვეთ.

პროექტი განვითარების აქტიურ ფაზაში გაზაფხულიდან შევა.

## კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა რეგიონალური განვითარებისთვის

**EthicFinance** -ის თანამშრომლებს ეს პროექტის განსაკუთრებით ახარებთ. ავსტრიულ ორგანიზაციებთან „ჰერმესი“ და „კონსალისი“ თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა პროექტი, რომელიც **EthicFinance** -ის თანამშრომლებს კვალიფიკაციის ამაღლების გზით რეგიონალური განვითარებისთვის მოღვაწე ორგანიზაციების და მათი ქსელის მხარდაჭერასა და გაძლიერებას გულისხმობს. მისი საშუალებით მიღებული ცოდნა და უნარები სოფლის მეურნეობაში,

ახალი ინტერნეტ-მისამართი

**EthicFinance** -ს ახალი ინტერნეტ-მისამართი აქვს, რომელიც საკრედიტო კავშირ **EthicCapital** -თან საზიარო აღარ არის. მისი ახალი მისამართია: [www.ethicfinance.net](http://www.ethicfinance.net)

ტურიზმში და სხვა სფეროებში ეკოლოგიური ორიენტაციის ინიციატივების, მცირე მეწარმეების, კოოპერატივების და ადგილობრივი გაერთიანებების ბაზაზე, წარმატებულად განხორციელების მხარდაჭერის საშუალებას უნდა იძლეოდეს.

პროექტის განსახორციელებლად საჭირო სახსრების მოძიება 2012 წელში სრულად ვერ მოხერხდა, თუმცა ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით. ვიმედოვნებთ, რომ 2013 წელი ახალი შანსებით და შესაძლებლობებით გველის.

## თანამშრომლები

**EthicFinance** -ს ორი ახალი თანამშრომელი ჰყავს.

ბატონი უდო ჰენკელ-იაშვილი პროფესიით სოციალ-პედაგოგია, რომელიც თავის მდიდარ სამუშაო გამოცდილებას სოფელ სობისში ახალგაზრდული პროექტის ხელმძღვანელობისას იყენებს.

ქალბატონი ნინო დანიშაშვილი გერმანიიდან კულტუროლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 2012 წლის იანვარში საქართველოში დაბრუნდა. ჩვენთან ის სოფელ სობისის ახალგაზრდული პროექტის კოორდინატორად მუშაობს და ასევე ზოგადი საოფისე საქმიანობის შესრულებით მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს.

გარდა ამისა, მოხარულები ვართ, რომ ჩვენთან მოხალისედ გერმანიის ქალაქ ბრემენიდან შარლოტე შმარი ჩამოვიდა, რომელიც სობისის პროექტისთვის სერიოზულ დამხმარე ძალას წარმოადგენს. მან ბატონ ჰანდმუსთან ერთად გაუფილტრავი ვაშლის წვენი და მზადების სახელმძღვანელო შეადგინა და ამასთანავე სხვადასხვა წერილობით, თუ ვებ-დოკუმენტურ დაკავშირებულ საქმიანობებსაც ასრულებს.

ჩვენ მოხარულები ვართ, ჩვენს რიგებში ახალი თანამშრომლების ყოლით და მადლობას ვუხდით მათ კარგი მუშაობისთვის!

## ახალი პარტნიორები

ჩვენ მივესალმებით ქალაქ შტუტგარტში ახლადდაარსებულ გაერთიანება „Georgien's Brücke“ (საქართველოს ხიდი) -თან თანამშრომლობას. ეს ორგანიზაცია გერმანიაში მცხოვრები ქართველების და სხვა დაინტერესებულ ადამიანთა მოქმედების ადგილია, რომელთაც სურვილი აქვთ პროექტებს საქართველოში შინაარსობრივად, ან ფინანსურად დაეხმარონ.

## სამადლობელი

ჩვენ გულითად მადლობას ვუხდით გერმანიის საელჩოს საქართველოში, ბადენ-ვურტემბერგის მხარის და ელისაბედ გასტის ფონდებს, ქალაქ ბონის სენიორ ექსპერტების მომსახურების სააგენტოს და ბატონ ჰანდმუსს, ასევე ჩვენს პარტნიორსა და პროექტის თანამონაწილეს, ბატონ რალფ ჰელდერს. მათი მხარდაჭერის გარეშე სობისის ახალგაზრდული პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

გარდა ამისა, გვინდა ჩვენი მადლიერება გამოვხატოთ ბატონი რაინჰარდ ბუხნერის მიმართ, რომელიც გერმანიის ქალაქ გიოპინგენში „Rose Office“-ს ხელმძღვანელობს და არგოხის პროექტისათვის სოლიდური თანხა შემოგვწირა. ასევე ქალაქ შტუტგარტის ფონდ „მალეს“, შვეიცარულ განვითარებისა და თანამშრომლობის ფონდის „აკაცია“-ს მადლიერნი ვართ ფინანსური მხარდაჭერისათვის. დიდი მადლობა ავსტრიულ ორგანიზაციებს „ჰერმესს“ და „კონსალისს“ კარგი თანამშრომლობისთვის. ასევე მადლობას ვუხდით ავსტრიის განვითარების სააგენტოს (Austrian Development Agency (ADA)), მათგან ფინანსური დახმარების მიღებამ მოგვცა იმედი, რომ ჩვენი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის განკუთვნილი პროექტი შედეგადა.

ძლიერ ვაფასებთ ჩვენი საქმიანობის და თანამშრომლების მხარდაჭერას ინტერნაციონალური მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (CIM) მიერ და დიდ მადლობას ვუხდით მას!



# და ბოლოს...



... ყველას ბედნიერ ახალ 2013 წელს გისურვებთ!



**კონტაქტი**  
 ვაჟა-ფშაველა  
 VII კვარტალი  
 XVIII კორპუსი  
 II სადარბაზო  
 I სართული  
 0183 თბილისი

**საქართველო**

ტელ: (+995) 32 2 30 43 69  
 info@ethicfinance.net  
 www.ethicfinance.net

